

დელოქტურ ვალდებულებათა თავისებურებანი სამედიცინო
დაწესებულების მიერ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დროს

ინგა ყაველაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ინგა ყაველაშვილი

21.06.2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული დელიქტური ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით პაციენტის უფლებების სამართლებრივი რეგულირების მიმოხილვა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა თუ კანონმდებლობაში, სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა შორის ხანდაზმულობის ვადების კონკურენციისა და ტერმინთა გამართულად ჩამოყალიბების მიზნით.

სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტისათვის მიყენებული დელიქტური ზიანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების და ცალკეული ნაშრომების გაანალიზებისას იკვეთება როგორც სამართლებრივ ცნებათა აღრევის, ისე სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული, ნორმის განმარტების იურიდიული მეთოდის უგულებელყოფის ტენდენცია, რაც საბოლოო ჯამში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას აბრკოლებს. მნიშვნელოვანია, თავად სამართლის მეცნიერებმა შეიმუშაონ ერთიანი მიდგომა ფუნდამენტურ ცნებებთან დაკავშირებით, რათა დამკვიდრდეს ერთიანი მიდგომა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე.

ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში ჯერ კიდევ ახალი დარგია და ვითარდება. ამდენად, მათი პრაქტიკული გამოყენების მხრივ მნიშვნელოვან ხარვეზებს ვხვდებით. მნიშვნელოვანია, რომ ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომლითაც განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანისა და პაციენტის ძირითადი უფლებები.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება ჯანმრთელობის, პაციენტისა და მისი უფლებების, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის სამართლებრივი ცნებები და საკანონმდებლო რეგულაციები.

ნაშრომში თეორიული და პრაქტიკული მაგალითების ურთიერთშეჯერების გზით გავაანალიზებთ ქართულ საკანონმდებლო რეგულაციებს სამედიცინო დაწესებულების

მიერ პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით და წარმოვაჩენთ საკანონმდებლო ტერმინოლოგიის მიმართ ერთიანი მიდგომის დამკვიდრების საჭიროებას.

Abstract

The aim of this article is to overview the legal regulation of patient's rights regarding damage compensation from medical institution in Georgian scientific literature or legislation, contractual and tortious requirements to be formally established limitation periods' competition and term.

Discussing Court's decisions and separate articles about delictual harm by Medical institution you will see legal concept as well as enactment interpretations deny trend legal method in special literature. It's important for Jurisdictions' scientists to work out uniform approach about fundamental notions by themselves, in order to establish uniform approach about legal liability.

Human rights in healthcare are new and developing field. So, in practice we see important blemishes. It is important Georgian legislation to be compliant with international treaty, which defines human and patient rights in healthcare sphere.

It will be discussed in article damage of patient's health, its rights, legal concepts and regulations of guilt and wrongfulness.

By interconnecting theoretical and practical examples in article, we will see regulations of Georgian legislations for medical institutions about compensation of damage and present necessity of Georgian legislation's uniform approach.